



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საქართველოს მთავარი პროკურორი



KA010171584316613

16 / სექტემბერი / 2013 წ.

ქ.თბილისი

ბრძანება № 113-მ

საქართველოს მთავარი პროკურატურის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების (შენობა-ნაგებობის) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისათვის დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მესამე პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 01 ოქტომბრის №302 დადგენილებით დამტკიცებული წესის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს სარგებლობის უფლებით, ერთი წლის ვადით (უსასყიდლოდ) გადაეცეს საქართველოს მთავარი პროკურატურის ბალანსზე რიცხული ქ. თელავში, ვარდოშვილის ქ. №7-ში მდებარე შენობა-ნაგებობა და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი (მიწის უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 53.20.38.101), საბალანსო ღირებულებით 447575 (ოთხასორმოცდაშვიდიათას ხუთასსამოცდათხუთმეტი ლარი) ლარი და ნარჩენი ღირებულებით 413924,75 (ოთხასცამეტიათას ცხრაასოცდაოთხი ლარი და სამოცდათხუთმეტი თეთრი) ლარი;

2. დაევალოს საქართველოს მთავარი პროკურატურის ეკონომიკურ დეპარტამენტს მიღება-ჩაბარების გაფორმების უზრუნველყოფა კანონმდებლობით დადგენილი წესით;

3. საქართველოს მთავარი პროკურატურის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს საქართველოს მთავარი პროკურატურის ეკონომიკური დეპარტამენტის შესყიდვებისა და ლოჯისტიკის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელს ეკატერინე ებანოიძეს.

4. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილის 2013 წლის 19 აგვისტოს №83931 და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 31 ივლისის №07-04/472 წერილები.

საქართველოს მთავარი პროკურორი



არჩილ კბილაშვილი